პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 248 (5798)

16 დეკემბერი, ხუთშაბათი. 1976 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ოფიციალური ქრონიკა

● **14 დეკემბერს** კრემლში მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ი. ცედენბალმა** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს **ლ. ი. ბრეჟნევს** გადასცა მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის გმირის ოქროს ვარსკვლავი და სუხე-ბატორის ორდენი. მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის ეს უმაღლესა ჯილდოები ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მიენიჭა იმისთვის, რომ უდიდესი ღვაწლი მიუძღვის სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის, მსოფლიო სოციალიზმის დაცვისა და ძლიერების ზრდის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების საქმეში, უთვალსაჩინოეს როლს ასრულებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის, სსრ კავშირისა და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, ძმობისა და მჭიდრო ყოველმხრივი თანამშრომლობის ურღვევი კავშირის განმტკიცებაში, მაღალინიციატივიანად და ნაყოფიერად საქმიანობს ხალხთა მტკიცე მშვიდობისა და უშიშროებისთვის ბრძოლაში.

მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის ჯილდოების გადაცემას დაესწრნენ ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, თ. დ. კულაკოვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. თ. უსტინოვი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. უ. ჩერნენკო, ი. პ. რიაბოვი.

ამხანაგებმა ი. ცედენბალმა და ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვები წარმოთქვეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა გულითადად მიულოცეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს მაღალი ჯილდოების მიღება და უსურვეს კვლავაც ნაყოფიერად ელვაწოს ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისთვის, კაცობრიობის ნათელი მომავლის — კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

● **ვ. ი. ლენინის** ცენტრალურ მუზეუმის თბილისის ფილიალში გაიხსნა გამოფენა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის 70 წლისთავს მიეძღვნა.

ექსპოზიციის დოკუმენტები თვალნათლივ გვიჩვენებენ სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელ მამობრივ ზრუნვას ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებზე, მისი ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აყვავებაზე სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში.

პრეტენდენტთა მატჩებში ითამაშებენ: ფათალიბეკოვა, ჩიბურდანიძე, კოზლოვსკაია

თბილისის საერთაშორისო ტურნირი დამთავრდა,

საგზურები განაწილდა

დასკვნით, XI ტურზე ჭადრაკის სასახლეში ნემსი არ ჩავარდებოდა. უბილეთოდ დარჩენილი ასობით გულშემატკივარი, თავისი კერპის — მაია ჩიბურდანიძის თამაშს სასახლის მინის კედლებთან გამოდგმული სადემონსტრაციო დაფის მიხედვით ადევნებდა თვალს.

ჩიბურდანიძეს მხოლოდ ბ. ჰოფმანთან (გდრ) მოგება მოუტანდა პრეტენდენტის საგზურს. ამიტომ მან სიცილიურ დაცვაში გრძელი როქის შემდეგ მძაფრად შეუტია ცენტრში დაყოვნებულ მეტოქის მეფეს.

მაყურებლებმა დიდი კმაყოფილება მიიღეს, როცა მაიამ იერიში კომბინაციური სტილით წარმართა. იგი ხან მხედარს სწირავდა, ხან — ეტლს. მართალია, ჰოფმანმა „დანაელთა საჩუქარი" არ მიიღო, მაგრამ თავის გვირგვინოსანს მაინც ვერაფრით დაეხმარა.

ჩიბურდანიძე — ჰოფმანი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 a6 6. კg5 e6 7. f4 კe7 8. ლf3 ლc7 9. 0—0—0 მbd7 10. ლg3 h6 11. კh4 g5 12. fg ეg8 13. კe2 მh7 14. g6 ე:g6 15. ლf2 მe5 16. მf5! კf8 17. მd4 კe7 18. კ:e7 ლ:e7 19. მf3 კd7 20. ეd2 კc6 21. ეhd1 მ:f3 22. gf ეd8 23. e5 d5 24. კd3 ეg7 25. კ:h7 ე:h7 26. მe4! ეg7 27. მf6+ მფf8 28. ლh4 ეg6 29. ეg2! მფg7 30. ეdg1 ლc7 31. ლh5 ე:g2 32. ე:g2 მფf8 33. ლh4 ლa5 34. b4 ლa3+ 35. მფd2 მფe7 36. მ:d5+. მფd7 37. ლe7+. შავები დანებდნენ.

პრეტენდენტის საგზურს პირველი ე. ფათალიბეკოვა დაეუფლა. აშშ-ის ჩემპიონ დ. საევერაიდთან პარტიაში მან თავიდან უკეთესი პოზიცია მიიღო და გაიმარჯვა.

ფათალიბეკოვამ თანამიმდევრულად, წაუგებლად განვლო ძნელი შეჯიბრება და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

ვ. კოზლოვსკაიამ რუმინელ ჰ. ბაუმშტარკს პაიკი მოუგო, მაგრამ მერე დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. პარტია გადაიდო.

ტ. ზატულოვსკაია დიდი ენერგიით ეთამაშა მ. ივანკას (უნგრეთი). უნგრელმა ოსტატმა თავი ვერ გაართვა რთულ პრობლემებს. ზატულოვსკაია მთლიანად დაეუფლა ინიციატივას და პარტია პოზიციური უპირატესობით გადადო.

პ. ფოისტელმა (გდრ) მოუგო ნ. კელნერს (ავსტრალია).

ტ. კრიუკოვა,

შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილე, საერთაშორისო არბიტრი.

გუშინ დილით ჭადრაკის სასახლეში მოეწყო ვ. კოზლოვსკაია — ჰ. ბაუმშტარკისა და ტ. ზატულოვსკაია — მ. ივანკას შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

კოზლოვსკაიამ უზუსტესი თამაშით შეძლო ზედმეტი პაიკის რეალიზება და გაიმარჯვა. პიატიგორსკელი მოჭადრაკის თამაშში იგრძნობოდა მისი მწვრთნელის, დიდოსტატ ი. ბონდარევსკის ღრმა ანალიზი.

ივანკა შეუპოვრად იგერიებდა მუქარას და ორი პაიკიც დათმო, ოღონდ კი თავისი ფიგურები გაეაქტიურებინა. ზატულოვსკაია ხელს უშლიდა მეტოქის ინიციატივას, მაგრამ მერე და მერე თამაშის სადავეები დათმო და ყაიმს დასჯერდა.

ამრიგად, ტურნირი დამთავრდა. I ადგილზეა **ე. ფათალიბეკოვა** — 7 ქულა, II-III ადგილები გაიყვეს **მ. ჩიბურდანიძემ** და **ვ. კოზლოვსკაიამ** — 6,5-6,5. **ამ სამმა მოჭადრაკემ მოიპოვა პრეტენდენტთა მატჩებში თამაშის უფლება.**

შემდეგ ადგილებზე არიან: IV-V. მ. ლიტინსკაია, მ. ივანკა — 6-6, VI. ტ. ზატულოვსკაია — 5, VII-VIII. ჰ. ბაუმშტარკი, პ. ფოისტელი — 4,5-4,5, IX. ბ. ჰოფმანი — 4, X. დ. საევერაიდი — 3, XI. ნ. კელნერი — 2.

საღამოს ჭადრაკის სასახლეში მოეწყო საერთაშორისო ტურნირის საზეიმო დახურვა. გამოცხადდა, რომ პრეტენდენტთა მატჩები გაისად გაიმართება. ნ. ალექსანდრიასა და ი. ლევიტინასთან ერთად შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს თბილისისა და როზენდალის საერთაშორისო ტურნირების სამ-სამი პირველი პრიზიორი, მეტოქეებს მეოთხედფინალურ მატჩებში ფიდე დააწყვილებს.

• • •

სურათებზე: დასკვნით ტურს ესწრებიან მსოფლიო ჩემპიონი, დიდოსტატი ნ. გაფრინდაშვილი (მარცხნივ) და ერთ-ერთი პრეტენდენტი, საერთაშორისო ოსტატი ნ. ალექსანდრია; მაია ჩიბურდანიძის (მარცხნივ) გადამწყვეტი შეხვედრა ბ. ჰოფმანთან. აქვეა შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილე, საერთაშორისო არბიტრი ტ. კრიუკოვა; კიდევ ერთი პრეტენდენტი — საერთაშორისო ოსტატი ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი).

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

გაიმართა სსრ კავშირის II ახალგაზრდული სპორტული თამაშებისთვის საქართველოს სპორტული დელეგაციის მოსამზადებელი შტაბის მორიგი სხდომა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლებისა და კომპლექსური სამეცნიერო ჯგუფების ხელმძღვანელები და ნაკრები გუნდების მწვრთნელები. დღის წესრიგში იყო გუნდებთან კომპლექსური სამეცნიერო ჯგუფების მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშების მოსმენა.

სხდომა გახსნა შტაბის უფროსმა დ. კაპცოემ. II ახალგაზრდული საკავშირო თამაშების მზადებაში სამეცნიერო-კომპლექსური ჯგუფების როლისა და ამოცანების შესახებ ილაპარაკა ამ ჯგუფების

შენიშვნების გათვალისწინებით...

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ერთერთმა ხელმძღვანელმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის პრორექტორმა, პროფესორმა ლ. ჩხაიძემ. ცალკეული ჯგუფების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაციებით გამოვიდნენ მ. ოყრომიძე (ჭიდაობა), თ. სანებლიძე (ტანვარჯიში), დ. იოსელიანი (მძლეოსნობა), ს. ილინი (ცურვა), კ. რევია (ნიჩბოსნობა), შ. ჩახნაშვილი (სასტენდო სროლა), თ. ხერხეულიძე (ტყვიის სროლა), ა. წერეთელი (კალათბურთი), გ. ძაგანია (ხელბურთი), ა. ბალუაშვილი (ჭადრაკი), ე. ხაბურზანია (ველოსპორტი), ა. მეიფარიანი (ფარიკაობა), რ. ტატიშვილი (ძალოსნობა), ვ. ძნელაძე (კრივი), მ. ერიოგინა (წყალში ხტომა) და სხვები.

ითქვა, რომ სამეცნიერო-კომპლექსურმა ჯგუფებმა თამაშებისთვის მოსამზადებლად საგრძნობი მუშაობა გასწიეს. ისინი აქტიურ დახმარებას უწევდნენ მწვრთნელებს. ვრცელია ჯგუფების სამუშაო გეგმები. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი განხორციელდა.

ორატორები განსაკუთრებით ვრცლად შეჩერდნენ თამაშებისთვის მზადებაში არსებულ ნაკლოვანებებზე. ყველა თითქმის ერთხმად აღნიშნავდა, რომ გუნდებს არ ჰყოფნით ექიმები, ფიზიოლოგები, ფსიქოლოგები, არა აქვთ წვრთნის თანამედროვე საშუალებანი, ჩამორჩება საექიმო კონტროლი, ზოგიერთი მწვრთნელი გეგმებს ვერ ასრულებს, ითქვა, რომ არ ჰყოფნით აღჭურვილობა საერთო ფიზმომზადებისთვის, სამიზნეები, ტყვიაწამალი, სტენდი მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ზოგიერთი მწვრთნელის გეგმები ბუნდოვანია. კალათბურთელებს ლენინის დარბაზში დრო მხოლოდ სამჯერადი ვარჯიშისთვის გამოუყვეს, რაც ცოტაა,

არა აქვთ ხარისხიანი ბურთები, ვარჯიშზე დასწრების დონე დაბალია.

ისიც აღინიშნა, რომ ხელბურთელებს არა აქვთ ვარჯიშისთვის საჭირო დრო და ადგილი. მოჭადრაკეებთან არ ტარდება ვარჯიშები საერთო ფიზმომზადებაში. ითქვა, რომ კომპლექსურ ჯგუფებს სათანადო კავშირი არა აქვთ სპორტკომიტეტთან.

შტაბის სხდომამ დასახა ღონისძიება. კაპცოემ აღნიშნა, რომ შტაბი შენიშვნებს გაითვალისწინებს და საქართველოს სპორტკომიტეტის დახმარებით შესაძლებლობის ფარგლებში [illegible]

დოსაafის კონფერენციებზე

•

რადიოკლუბს ბინა ჩამოართვეს

რუსთავის დოსაafის ორგანიზაციის კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე **გ. გაჩეჩილაძე.** კამათში მონაწილეობდნენ მეტალურგიული ქარხნის დოსაafის კომიტეტის თავმჯდომარე **გ. წივწივაძე,** კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი **გ. მიჩილაშვილი,** ავტოსკოლის უფროსის მოადგილე **ქ. პაპუნიდი,** მეტალურგიული ქარხნის ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. კირვალიძე,** № 1 სამშენებლო ტრესტის დოსაafის კომიტეტის თავმჯდომარე **ა. რაჯებაშვილი.**

ითქვა, რომ საქალაქო კომიტეტმა ვერ უზრუნველყო ყველა ორგანიზაციაში მუშაობის მოწინავე მეთოდების დანერგვა. ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ბევრ კოლექტივს არა აქვს თუნდაც მარტივი ტიპის ტექნიკური ბაზა.

მართალია, ქალაქში საკმაოდ ჩატარდა შეჯიბრებები ტყვიის სროლაში, გადაჭარბებით შესრულდა ამ სახეობაში თანრიგოსნების მომზადების გეგმები, მაგრამ ნაკლი ჯერ მაინც ბევრია. რუსთავის 101 პირველადი ორგანიზაციიდან სასროლო სპორტის ინვენტარი მხოლოდ 33-ს აქვს. სხვებმა ვერ შეძლეს მათს შესანახად ადგილის გამოყოფა.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ქალაქში სათანადოდ არ ზრუნავენ სპორტის გამოყენებითი სახეობების დანერგვისთვის. თავის დროზე აქ წარმატებით მუშაობდა რადიო, ავიასამოდელო და გემსამოდელო სპორტის სექციები. ამ სექციათა წევრები წარმატებით გამოდიოდნენ რესპუბლიკურ და საკავშირო ტურნირებში, მაგრამ მას შემდეგ, რაც რადიოკლუბის ბინა № 2 საბინაო-საექსპლოატაციო კონტორას გადაეცა, მუშაობაც ჩაკვდა.

კონფერენციამ დოსაafის კომიტეტის თავმჯდომარედ კვლავ გ. გაჩეჩილაძე აირჩია.

რ. ბაბრიკიძე.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

გალავნის ექსპერიმენტულ მეურნეობაში რომ იკითხოთ, რომელი ფიზკულტურელია შრომაში მოწინავეო, უმალ მ. ხუცურაულს (სურათზე) დაგისახელებენ. იგი მე-6 ბრიგადის მუშაა და მცხეთის რაიონის ფეხბურთელთა გუნდის „არაგვის“ წევრიც გახლავთ. მ. ხუცურაული სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისთვის ბრძოლაში ერთ-ერთი პირველი ჩაება. იგი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავის ხელხვავიანად შესახვედრად შრომობს. ჭაბუკი შრომასა და სპორტს კარგად უთავსებს სწავლასაც: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის I კურსის სტუდენტია,

თ. ქიქავას ფოტო.

ახალი სახელები კვლავ არ ჩანს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულ დარბაზებში დამთავრდა დედაქალაქის პირველობა ფრენბურთში. სარბიელზე გამოვიდა პირველი ჯგუფის ქალთა 6 და ვაჟთა 8 გუნდი. შეჯიბრება წრიული სისტემით ჩატარდა. მისი ძირითადი მიზანი რესპუბლიკის ნაკრები გუნდებისთვის კანდიდატთა შერჩევა იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ტურნირმა ახალი სახელები ვერ გაგვაცნო.

ქალთა ტურნირში I ადგილისთვის ოთხი თანაბარი ძალის გუნდი იბრძოდა. საბოლოოდ საპრიზო ადგილები ამ თანამიმდევრობით განაწილდა: I — სპი, II — თსუ, III — „კოლმეურნე“. ბოლო ადგილზე გავიდა და გაისად I ჯგუფში თამაშის უფლება დაკარგა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე გუნდმა.

ვაჟთა შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე გუნდს, რომელიც საქართველოს იუნიორთა ნაკრების ბირთვია და ახლა პოლონეთში იმყოფება. მის ნაცვლად ტურნირში უკონკურსოდ ასპარეზობდა მწვრთნელთა სკოლის გუნდი.

პირველობისთვის ბრძოლაში ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელებმა (I გუნდი), რომლებიც რესპუბლიკის ნაკრების ბირთვს წარმოადგენენ, წარმატების იმედი გადაუწურეს მეტოქეებს, ყველა შეხვედრა „მშრალი“ ანგარიშით (3:0) მოიგეს და ჩემპიონობაც მოიპოვეს.

განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ამ ტურნირში II საპრიზო ადგილზე გავიდა თბილისის განათლების განყოფილების სპეციალიზებული სპორტსკოლის (დირექტორი გ. იმნაძე) გუნდი, რომელიც VIII და IX კლასების მოსწავლეებითაა დაკომპლექტებული. III ადგილი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტსმენებმა დაიკავეს.

მეტად დამაფიქრებელია, რომ ბოლო ადგილზე დარჩა და გაისად მეორე ჯგუფში იასპარეზებს უნივერსიტეტის გუნდი. წარუმატებლობის მიზეზად ის დაასახელეს, რომ ამ ბოლო ხანს წვრთნის საშუალება არ ჰქონდათ (ორიოდე თვის წინათ დარბაზში იატაკი ჩაენგრათ, მის აღდგენას საშველი არ დაადგა), მაგრამ ეს საქმეს შველის?

საერთოდ ქართული ფრენბურთის განვითარების უპირველესი პრობლემა ბაზების უქონლობაა. თვით დედაქალაქის პირველობაც კი ტარდება დარბაზში, რომლის სიგრძე 21 მეტრია, სიგანე — 11,5, ხოლო სიმაღლე — 6.

გარდა ამისა, რის ვაი-ვაგლახით მომზადებულ ნიჭიერ სპორტსმენებს სათანადო პირობებს ვერ უქმნიან და ისინიც სხვა რესპუბლიკების გუნდებში მიდიან სათამაშოდ.

— ფრენბურთის განვითარების დაბალ დონეს ისიც იწვევს, რომ რესპუბლიკური სპორტსაზოგადოებები გუნდებს მხოლოდ შეჯიბრებების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე სახელდახელოდ აკომპლექტებენ, — გვითხრა საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა **ირაკლი ნიკოლაიშვილმა,** — ამიტომ ყველა ტურნირში შედეგები ძალზე არასახარბიელოა. უფრო მეტიც, ისეთ დიდ საზოგადოებებს, როგორიც „განთიადი“ და „ლოკომოტივი“ არიან, ქალაქის ჩემპიონატის პირველ ჯგუფში გუნდები არ ჰყავთ.

— ცუდად არის საქმე პერიფერიებში ფრენბურთელთა მომზადების მხრივ, — ჩაერია ჩვენს საუბარში თბილისის განათლების განყოფილების სკოლის უფროსი მწვრთნელი, რესპუბლიკის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი **ალექსანდრე მუხინი.** — ერთ დროს საქართველოს ნაკრებ გუნდებს სპორტსმენებს აწვდიდნენ აჭარა, აფხაზეთი, ქუთაისი, რუსთავი... ამ ბოლო ხანს ეს აღარ შეინიშნება.

* * *

ახლა ისევ ზემოაღნიშნულ შეჯიბრებას დავუბრუნდეთ. ვფიქრობთ, რომ ასპარეზობა სათანადო დონეზე ვერ ჩატარდა. აშკარად იგრძნობოდა კვალიფიციური მსაჯების ნაკლებობა. ბევრ შეხვედრას თვით ტურნირის მონაწილე გუნდების წევრები მსაჯობდნენ. გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ გარემოებასაც: ცნობილია, რომ ყოველი ტურნირის დამთავრების შემდეგ ეწყობა მისი საზეიმო დახურვა და გამარჯვებულებს აჯილდოებენ. ამ პირველობის ორგანიზატორებს კი რატომღაც „დაავიწყდათ“ ასპარეზობის საზეიმო დახურვაც და პრიზიორების დაჯილდოებაც.

ვ. დანელია.

ცხადია თუ სიზმარი?

ფელეტონი

კოლმეურნეობის გამგეობის შესასვლელში გაკრულ ტრანსპარანტს „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ მაინცდამაინც არ გავუოცებივართ: ამ კოლექტივზე, მის ხელმძღვანელებსა და თავდადებულ მშრომელებზე, მეურნეობის ყველა დარგში მოპოვებულ წარმატებებზე ქვეყანა ლაპარაკობს და ალბათ სტუმარიც ბევრი ჰყავთ. ჩვენ, მაგალითად, ამჯერად კოლმეურნეთა ფიზკულტურული კოლექტივის ცხოვრება გვაინტერესებდა.

— აბა, გიორგი, თუ ძმა ხარ, სტუმარს მიმიხედე, ყველაფერი აჩვენე, მე მესამე აგროუბანში გადავალ და მალე შემოგიერთდებით! — უთხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მამაცა გამრჯიაშვილმა ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარეს კორნელი სწრაფიაშვილს.

მანქანით მრავალდარგოვანი კოლმეურნეობის ყველა უბნის შემოვლას დიდხანს მოვუნდით, მაგრამ ნანახითა და გაგონილით აღტაცებული დავრჩი. კულტურის სახლთან არსებული ყველა სახის ინვენტარით აღჭურვილი სპორტული დარბაზი უკვე აღარავის აკვირვებს. აქვეა კეთილმოწყობილი სტადიონი ტრიბუნებით, სარბენი ბილიკებითა და ტყორცნის სექტორებით. კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები, ჩოგბურთის კორტი, 50-მეტრიანი დახურული საცურაო აუზიც თითქმის ყველა კოლექტივს აქვს, მაგრამ კეთილმოწყობილი ღია ბაზების ასეთი სიმრავლით კი, ალბათ, ბევრი ვერ დაიტრაბახებს. აქ ყველა აგროუბანს, ყველა ბრიგადას საკუთარი სპორტული სარბიელი აქვს, მოუწყვიათ „სოვეტსკი სპორტის“, „ლელოს“, მოწინავე ფიზკულტურელთა ფოტოსტენდები, თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული მათივე სპორტული კედლის გაზეთი, ლოზუნგები, ტრანსპარანტები.

— ბაზები მუდამ მზადაა შეჯიბრებისთვის, — ამბობს ბრიგადირი ქეთევან მორბენალიძე, — სპორტული ინვენტარი ისეთი მასალისგანაა დამზადებული, რომ წვიმა და მზე ვერაფერს აკლებს. შესვენებისას შემოიარეთ, ისეთ ბრძოლებს ნახავთ, თავი რესპუბლიკური ჩემპიონატის მატჩებზე გეგონებათ.

აღტაცებული დავემშვიდობეთ ხალისიან ქალიშვილს, მოვდივართ და ვფიქრობთ, როცა სპორტი ისედაც მაღალ დონეზე დგას, აგიტაციის საშუალებათა ასე მრავლად გამოყენება რაღა საჭიროა-მეთქი. მძღოლი ნუგზარი თითქოს მიმიხვდა:

— ფიზკულტურა და სპორტი დიდი ხანია მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში. მაგრამ აგიტაცია მაინც საჭიროა... ესეც არ იყოს, ტრანსპარანტები, სტენდები, ლოზუნგები ბაზებს საზეიმო ელფერს აძლევს.

გზატკეცილზე მანქანა სწრაფად მისრიალებს. ბაღებში კოლმეურნეები ხილს კრეფენ, წლევანდელ უხვ მოსავალს აბინავებენ, სადღაც შორს ნახირს მოვკარი თვალი.

— ეს ყველაფერი ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა გამრჯე მარჯვენითაა შექმნილი, — ამბობს ნუგზარი, — ფიზკულტურასა და სპორტში ჩვენი წარმატებები იმანაც განაპირობა, რომ სკოლებიდან, ტექნიკუმებიდან, უმაღლესი სასწავლებლებიდან, ქარხნებიდან უკვე კვალიფიციური სპორტსმენები გვიბრუნდებიან, ახლა ხომ გამაჯანსაღებელ, ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობას ყველგან სათანადო ყურადღება ექცევა.

— ჰოდა, აქ თუ შესაფერი ნიადაგი არ დახვდათ...

— ყველაფერს თვითონ აწყობენ, თვითონვე უვლიან...

— ჩვენი თანამშრომლების 80 პროცენტს სასწავლებლებში მეორე სპეციალობაც აქვს მიღებული. ყველა მათგანს შეუძლია იყოს მწვრთნელი, მეთოდისტი, აღმზრდელი.

— მიუხედავად ამისა, გუნდები ბრიგადებში კოლექტიურად მეცადინეობენ, საწვრთნელ გეგმებს საერთო კრებაზე ამუშავებენ და მერე მათი შესრულებისთვის ყველა ერთნაირად ზრუნავს, გვიამბობენ ჩემი მეგზურები. მათგანვე გავიგე:

საწვრთნელი მეცადინეობები და შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები შესვენებისას, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, დასვენებისა და უქმე დღეებში სისტემატურად ტარდება, მაყურებლები კოლმეურნეთა ოჯახის წევრები, ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები არიან. შეჯიბრებებს ხშირად ესწრებიან კერამიკული ქარხნის მუშებიც (კოლმეურნეობის ფიზკულტურული ორგანიზაცია ამ საწარმოს შეფობს).

დღე მიილია, კონტორაში დავბრუნდით. გზაზე ველოსიპედისტთა დიდმა ჯგუფმა ჩაგვიქროლა, სტადიონიდან მაყურებელთა ყიჟინა მომესმა — მძლეოსნობაში შიდასაკოლექტივო პირველობა ტარდებოდა დევიზით „სწრაფად, მაღლა, შორს!“ სპორტულ დარბაზში შევიხედეთ: ტანმოვარჯიშეები ურთულეს ილეთებს ასრულებდნენ...

რა დონეზე დგას მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობა? საინტერესოა, ამაზე რაღას გვეტყვიან? — ვფიქრობდი, როცა კონტორის ეზოში შევდიოდით. მამაცა გამრჯიაშვილი უკვე გველოდა და მეც არ დავაყოვნე შეკითხვა. მან ხელი გაიშვირა და მომიგო:

— აბა ამ ზეგანს გახედეთ!

ზეგანზე ზურგჩანთააკიდებული დაახლოებით ოცდაათკაციანი ჯგუფი მიდიოდა.

— ჩვენი ხალხია. ხვალ ბრიგადებს შორის ტურისტულ მრავალჭიდში შეჯიბრების მესამე ტური ეწყობა. ასპარეზობისთვის ადგილის შესარჩევად მიეშურებიან. ღამეს იქვე, კარვებში გაათევენ.

— მშდ კომპლექსზე რაღას იტყვით? — ვკითხე და პორტატული მაგნიტოფონი ჩავრთე.

— აი, აქ კი ჩამოვრჩით. ყველა საფეხურის ნორმატივები თანამშრომელთა მხოლოდ 70 პროცენტს აქვს ჩაბარებული. აუზის გაჭიანურებულმა რემონტმა შეგვაფერხა. კოლმეურნეობის სამშენებლო ორგანიზაციამ ვერ იმუშავა კარგად. სამაგიეროდ, ბევრი „ოქროს ნიშნოსანი“ გვყავს, — გვიპასუხა თავმჯდომარემ.

ალბათ მეტისმეტი კადნიერება გამოვიჩინე, მაგრამ გულმა არ მომითმინა, და როგორც მშდ-ს რესპუბლიკური ინსპექციის წევრმა, რამდენიმე ნიშნოსანი შევამოწმე. ყველამ თეორიული და პრაქტიკული კურსის შესანიშნავი ცოდნა გამოავლინა...

* * *

ბუნებრივია, იკითხავთ: სად არის ასეთი ფიზკულტურული კოლექტივი? იძულებული ვარ, გამოვტყდე, ასეთი, რომ იტყვიან, თითით საჩვენებელი ფიზკულტურული კოლექტივი, სამწუხაროდ არ მოგვეძებნება. და მერე, იცით რატომ? იმიტომ, რომ სკოლების, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების, კოლმეურნეობების, საწარმოების თავკაცთა უმეტესობა არ უყურებს ფიზკულტურასა და სპორტს როგორც თავიანთ სისხლხორცეულ საქმეს. ამიტომაც ნაკლებ ზრუნავენ მოზარდების, ახალგაზრდების ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისთვის. თუ სკოლაში ვინმე „თვითნაბადი“ სპორტსმენი აღმოჩნდა, მწვრთნელები მაშინვე ხელს სტაცებენ, ჩაებღაუჭებიან, მისი წყალობით ცდილობენ ფონს გასვლას, სხვადასხვა ტიტულის მიღებას, მშვიდი და უდარდელი ცხოვრების უზრუნველყოფას.

ო. გელაშვილი.

თოკებით მოღობილი სარბიელი

სპორტმა (ვგულისხმობთ სამოყვარულო სპორტს) დიდი ხანია დაკარგა მარტოოდენ თვითმიზნური ხასიათი. მოგება თუ წაგება, ამ ცნებების უხეში მნიშვნელობით, უკვე აღარაა ერთადერთი მიზანი.

სპორტი იქცა ჯანმრთელობის, სილამაზის წყაროდ და ცხოვრებისეული სიძნელეების გადალახვის დიდ ხელშემწყობ ფაქტორად.

ეს თვისებები მეტ-ნაკლებად ნიშნადია სპორტის ყოველი სახეობის და, რაღა თქმა უნდა, კრივისთვისაც.

ოღონდ ესაა, მავანთა და მავანთ კრივი მიაჩნიათ ბარბაროსობად, ადამიანის მხეცური ინსტინქტების გამოვლენად და ა. შ.

სინამდვილეში კი საქმე სულ სხვაგვარადაა:

კრივი ურთულესი სპორტია. იგი მოკრივისგან მოითხოვს უსწრაფეს რეაქციას, ამტანობას, რიტმის გრძნობას, მოქნილობას, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. გარდა ამისა, სპორტის ამ სახეობას აქვს ესთეტიკური მხარეც. მოკრივეს, რომელიც ფლობს დაცვისა და შეტევის კომბინირებულ, ჩვევაში გადაზრდილ ილეთებს, აზროვნებს რინგზე და ამასთან ლამაზად მოძრაობს, ძალუძს დიდი სიამოვნება მიანიჭოს მაყურებელს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება, რომელიც კრივს ახასიათებს და ასერიგად განასხვავებს სპორტის სხვა სახეობათაგან, ის გახლავთ, რომ იგი ყველაზე მეტად უწყობს ხელს ადამიანში სიმამაცის, გამბედაობის გაღვივებას. მოკრივეს ხომ დიდი ბრძოლა უწევს ადამიანისთვის ისეთ დამამცირებელ გრძნობასთან, როგორიცაა შიში.

ვერც იმაში დავეთანხმებით კრივის მოწინააღმდეგეებს, თითქოსდა იგი გონებას აჩლუნგებდეს.

პოლონეთის პრესაში რამდენიმე წლის წინათ აღძრულმა კამათმა გამოავლინა ასეთ მოსაზრებათა სრული უსუსურობა. იქვე აღინიშნა, თუ რამდენი გამოჩენილი პიროვნება, რამდენი ცნობილი სპეციალისტი მისდევდა თურმე კრივს.

ზოგი იმასაც უკიჟინებს კრივს, ადამიანს ამახინჯებსო. ტრავმებისგან, რა თქმა უნდა, მოკრივე არ არის დაზღვეული, მაგრამ სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებს, ვთქვათ მოჭიდავეებს, ფეხბურთელებს, მოთხილამურეებს განა არ ემუქრებათ ეს საფრთხე?

ქართულ კრივს არც თუ მცირე ხნის ისტორია აქვს, მაგრამ დღეს ბევრით ვეღარაფრით მოვიწონებთ თავს. ამაში მარტოოდენ კრივის მესვეურებს ნუ დავდებთ ბრალს. საზოგადოების გარკვეული ნაწილის მისამართით ვიტყვით: დროა თავიდან ამოვიგდოთ ის არასწორი შეხედულებანი, რომ კრივი ქვენა ინსტიქტების გამოვლენაა, რომ მწვრთნელები ჯერ მიეპარებიან ახალბედას, ცხვირს გაუტეხენ და მერე შეუდგებიან მის წვრთნას, რომ კრივი „არაარისტოკრატული“ სპორტია და ა. შ. ამ ცრურწმენათა აღმოფხვრა აუცილებელია, რათა გაგრძელდეს გორგასლიძის, ღუდუშაურის, ძმები დარბაისელების, ლომიძისა და სხვათა მიერ შექმნილი ტრადიცია.

ნუ დაივიწყებთ, რომ კრივი ადამიანში ავითარებს პლასტიკურობას, აჩვევს მას საკუთარი თავის დამორჩილებას, ორგანიზებას, აღვივებს მასში რწმენას და, ამდენად, კეთილშობილებასაც, რადგან საკუთარ თავში დაჯერებული ნამდვილი სპორტსმენი — მოკრივე, არასოდეს მიაყენებს შეურაცხყოფას ვინმეს. პირიქით, იგი დაიცავს სუსტსა და უღონოს. ორთაბრძოლის დროს მოკრივეს უხდება იმდენი დაბრკოლების გადალახვა, რომ ეს შერკინება თავისუფლად შეიძლება რომელიმე ცხოვრებისეული განსაცდელის დაძლევას შევადაროთ.

თოკებით მოღობილი ოთხკუთხა სარბიელი ძალზე ბევრს იტევს.

ე. გიორგაძე,
საქართველოს კრივის ფედერაციის აგიტაციისა და პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერხული... დეკემბერში

განვლილი სეზონის შედეგების შესახებ გვესაუბრება საკდესის ფეხბურთის მიმომხილველი **ლ. ფილატოვი**

წავიდა ის დრო, როცა განვლილი სეზონის შედეგების შეჯამება მარტო საკავშირო ჩემპიონატში მოპოვებული წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიხედვით შეიძლებოდა. ახლა თამაშის საუკეთესო მოდელები პირველ ყოვლისა ევროპული და მსოფლიო მნიშვნელობის ტურნირებში იჭედება.

სულ ახლახან დამთავრდა ჩვენი საერთაშორისო სეზონი: ნაკრები სამხრეთ ამერიკიდან დაბრუნდა, „შახტიორმა" კი უეფა-ს თასის გათამაშების საპასუხო მატჩი ჩაატარა „იუვენტუსთან". მოდით, ვცადოთ წლევანდელი შედეგების შეჯამება.

ამ ერთი თვის წინათ მონაკოში დავესწარი იუნიორთა ტურნირს, რომელშიც ევროპის 8 ქვეყნის გუნდები მონაწილეობდნენ. საბჭოთა ნაკრები ამ ასპარეზობაზე მიიწვიეს როგორც უეფა-ს საგაზაფხულო ტურნირში გამარჯვებული. იგი შეჯიბრების ფავორიტადაც კი მიაჩნდათ. საბჭოთა სპორტსმენებმა III ადგილი დაიკავეს, მოუგეს საფრანგეთის, უნგრეთის, იუგოსლავიის გუნდებს, ხოლო იტალიელებთან წააგეს.

ამ შემთხვევაში შედეგს იმდენი მნიშვნელობა როდი ჰქონდა. მთავარი ისაა, რომ მონაკოს ტურნირის მსგავსი მოდაში შემოსული შეჯიბრებები ნათლად გამოხატავენ იმ ყურადღებას, რაც დღეს უკვე ყველგან ეთმობა ნორჩ სპორტსმენთა აღზრდას. ფეხბურთი, ისევე როგორც მთელი სპორტი, თანდათან „ახალგაზრდავდება". როგორც ჩანს, ბავშვებთან მეცადინეობის ადრეულ პერიოდში დაწყება, მათი ადრეული დაოსტატებისკენ სწრაფვა დროის ნიშანია. კარგია, რომ ამ ტენდენციას ჩვენ მომზადებული შევხვდით. მონაკოში საბჭოთა იუნიორებმა ნიჭიერ, ბეჯით მოწაფეებად გაგვაცნეს თავი.

იუნიორთა კვალდაკვალ ევროპის პირველობა მოიპოვა ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმაც. გამარჯვებას მძიმე ბრძოლა დასჭირდა, რამაც ერთგვარად ფასიც შემატა მას. ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ახლა უკვე იციან, რამდენი ძალა და ენერგია სჭირდება დიდი პრიზებისთვის ბრძოლას და, თუ ევროპის ახალგაზრდა ჩემპიონებიდან მალე ვინმე პირველ ნაკრებშიც გამოიჩენს თავს, მან მადლობის სიტყვით უნდა მოიხსენიოს წლევანდელი სეზონიც.

ჩვენმა ოთხმა კლუბმა 18 მატჩი ჩაატარა ევროპის თასების გათამაშებაში. კიევის „დინამომ" და „შახტიორმა" — 6-6, თბილისის „დინამომ" — 4, მოსკოვის „დინამომ" — 2. საერთო შედეგები ცუდი არ არის: 11 მოგება, 1 ფრე და 6 წაგება, ბურთების სხვაობა 30-18. მაგრამ ამ საერთო ჯამში შესაკრებები ერთობ განსხვავებულია. პატიოსნად, მთელი ძალით იბრძოდა „შახტიორი", რომელიც ამგვარი ტურნირის ახალბედა იყო და ამავე დროს ქვეყნის ჩემპიონატშიც ბევრი სიძნელის გადალახვა მოუხდა. ამ გუნდმა საპასუხო მატჩი მოუგო „იუვენტუსს", თანამედროვე ეტაპზე იტალიის საუკეთესო გუნდს. როგორღაც შეუმჩნევლად, პირველივე წრეში გამოეთიშა ასპარეზობას მოსკოვის „დინამო", რომელმაც ათენში ძალზე სუსტად ითამაშა. თბილისელებმა 4 მატჩიდან 3 წააგეს, რაც აშკარად არ შეეფერება საკავშირო შეჯიბრებებში მათი თამაშის კლასს. მთავარი ისაა, რომ მათ საკუთარი ძალის რწმენა აკლდათ.

ძალაუნებურად იბადება შეკითხვა: „რას ნიშნავს საერთაშორისო გამოცდილება"? ჩემი აზრით, ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არ არის. ამაში კიევის „დინამო" დაგვეხმარება. „საშინაო" ტურნირებში ჩვენ „გამოცდილებს" ვუწოდებთ იმ გუნდებს, რომლებიც დიდი ხანია თამაშობენ, ზედმიწევნით იცნობენ თავიანთ მეტოქეებს და არც ერთ მათგანს არ უფრთხიან. სწორედ ასეა საერთაშორისო სარბიელზეც. გავიხსენოთ, რა იოლად დაამარცხეს კიეველებმა შინაც და სტუმრადაც „პარტიზანი" და „პაოკ"-ი. ეჭვიც არ მეპარება, მეტი რწმენა რომ ჰქონოდათ, მოსკოვისა და თბილისის დინამოელები უთუოდ მოიგებდნენ იმ შეხვედრებს, რომლებიც წააგეს.

უფრო რთულია სეზონის შეფასება პირველი ნაკრების მხრივ. შარშან კიევის „დინამომ", რომელიც თავის მრავალფეროვან „საკლუბო ამოცანებს" წყვეტდა, ამავე დროს 5 მატჩი მოიგო ნაკრების სახელით. კლუბის საქმიანი რიტმი არ დარღვეულა. მერე ამ გუნდმა კლუბის სახელის ტარება უკვე აღარ ინდომა, ნაკრებად იქცა და განსაკუთრებული შეღავათებიც მოითხოვა. ამის გამო იგი საგრძნობლად ჩამორჩა თავისივე ერთი წლის წინანდელ დონეს, თუმცა პოტენციურად არ დასუსტებულა.

ჩემი აზრით, ჩვენში დამკვიდრებულია მცდარი წარმოდგენა, თითქოს ნაკრები ისევე უნდა ემზადებოდეს და იწვრთნებოდეს, როგორც საკლუბო გუნდი. მაგრამ ამ ხანგრძლივ პროგრამებს ჯერ არც ერთხელ არ მოუტანიათ წარმატება, თუმცა დიდ სიძნელეებს ქმნიდნენ ქვეყნის ჩემპიონატის ჩატარების საკითხში.

ნაკრებს ამ სეზონში არსებითად არ მოუპოვებია ისეთი გამარჯვებები, რომ გუნდის აქტივში შეტანა შეიძლებოდეს, 4 წაგება კი მართლაც ძალზე გულსატკენია. მხედველობაში მაქვს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან დამარცხება ევროპის ჩემპიონატში, გდრ-ის ნაკრებთან წაგება ოლიმპიურ თამაშებში, არგენტინის ეროვნულ გუნდთან — კიევში, ბრაზილიის ნაკრებთან — რიო-დე-ჟანეიროში. პირველი 2 მატჩი კომენტარებს არ საჭიროებს. არგენტინელებთან შეხვედრა ბრძოლის თვალსაზრისით არ წაგვიგია. მარცხის მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ საცდელი შემადგენლობა გამოიყვანეს სარბიელზე. საპასუხისმგებლო მატჩს, თუ შეიძლება ითქვას, უპატივცემლოდ მოვექეცით, შედეგად კი ის მივიღეთ, რომ ამიერიდან საბჭოთა ნაკრებს არგენტინელებთან შეხვედრათა უარყოფითი ბალანსი აქვს.

საწყენია ისიც, რომ ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ „მარაკანაზე" გუნდის საუკეთესო შემადგენლობა არ გამოუყვანიათ. ეს მაშინ, როცა აქამდე ჩვენი ფეხბურთელების შეხვედრები ამ გუნდთან მუდამ დიდ მოვლენად ითვლებოდა. საბჭოთა ნაკრებმა მაღალი რეპუტაცია მოიპოვა მსოფლიო ფეხბურთში. არ შეიძლება მისი ძალების ასე ფანტვა მხოლოდ იმის გამო, რომ ან შეხვედრათა განრიგს ვერ ვადგენთ წესიერად, ანდა ისევ ყბადაღებულ „ექსპერიმენტებს" მივმართავთ.

საერთაშორისო შეხვედრები სხვადასხვა დონეზე იმართება და არა მგონია რამე აზრი ჰქონდეს მის საერთო მნიშვნელამდე დაყვანას. მიუხედავად იმ შეცდომებისა, რამაც ქვეყნის პირველი ნაკრების შედარებით სუსტი გამოსვლა გამოიწვია, ეს მატჩები ჩვენი ფეხბურთის მდიდარ შესაძლებლობებზე მეტყველებენ. უთავბოლოდ ჩატარებულ 2 საკავშირო ჩემპიონატზე მეტად სწორედ ეს შეხვედრები გვისახავენ იმედს მომავალი სეზონისთვის და გვინერგავენ რწმენას, რომ სარბიელზე ახალგაზრდულ ძალებს ვიხილავთ.

ოლიმპიურ ტურნირში — 22 წლამდე

რომში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ფიფა-ს პრეზიდენტმა ჟ. ავილანჟმა განაცხადა:

— მსოფლიო ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის, რომელიც გაისად გაიმართება აფრიკაში, უნდა განვიხილოთ, როგორც მოსამზადებელი შეჯიბრება 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირისთვის. აქ ფიფა აპირებს ასაკობრივი შეზღუდვა დააწესოს ფეხბურთელთათვის. ჩემი აზრია, რომ მოსკოვის ოლიმპიადის სარბიელზე 22 წელზე ხნოვანი ფეხბურთელები არ უნდა გამოვიდნენ.

შემდეგ ავილანჟმა აღნიშნა, რომ ბევრი ქვეყანა აქამდე ალმაცერად უყურებდა ოლიმპიურ საფეხბურთო ტურნირებს. უახლოეს ხანებში ფიფა მიიღებს ისეთ რეგლამენტს, რომლის შემდეგაც ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა ყველასთვის სასურველი გახდება.

ცხენები, მაინც ცხენები...

1971 წელს მოსკოვის იპოდრომმა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით გამოყო საჭირო თანხა და თბილისელებმა კეთილმოწყობილი საცხენოსნო მანეჟი მიიღეს. მანეჟი იპოდრომის ტერიტორიაზე აშენდა. **აქვე ჩამოყალიბდა მშრომელთა გამაჯანსაღებელი ჯგუფი, რომელსაც თადარიგის პოლკოვნიკი ბ. დადიანი ჩაუდგა სათავეში.**

თავლის ერთი თავიდან მეორემდე ორმოცდაათი ნაბიჯი იქნება. ფეხაკრეფითაც რომ გაიარო, თხუთმეტიოდე წყვილი თვალი მაინც გამოგაცილებს. უცხო თუ ხარ, მით უმეტეს, რადგან საოცრად ცნობისმოყვარენი არიან. ერთიახად ვერც შეავლებ თვალს, მხოლოდ კოხტა, ჯიშიანი თავები უჩანთ, დაცქვეტილი პატარა ყურებითა და სევდიანი თვალებით. თეთრებიც არიან, ქურანებიც, ზოგი რახსია, ორს თვალებიცა და ბეწვიც ღამისფერი აქვს. რამდენიმეს ნოთო ჩამოსდევს შუბლზე, თუ სადგომებთან ახლოს ჩაივლი, წინდებსაც დაუნახავ ზოგიერთს.

ჩაივლი და თვალს გამოგაყოლებენ, ოდნავ მოედრიკებათ გრძელი, ლამაზი კისრები...

ეტყობა, რაღაცამ შეაშფოთა ცხენები, ერთბაშად აცმუკდნენ. თავლის შემოსასვლელიდან ხმაურიც ისმის უკვე — ძია სამსონი თუ ეჩხუბება ბიჭებს.

ეს არის, ახალი ცხენები მოუყვანიათ, დაფებიც დაუკიდიათ სადგომებზე, თორემ სხვა დანარჩენი ძველებურადაა. ამის გაფიქრებაღა მოვასწარი და — როგორც ჩანს, არ გასჭრა ძია სამსონის შეგონებებმა — თვალისდახამხამებაში გაივსო თავლა. ბიჭები, ქალიშვილები, ყმაწვილი კაცები, საკმაოდ ხნიერნიც... ზოგი ჩექმას ირგებს, ზოგი მუზარადს... არადა, ცხენებმაც იგრძნეს ოთხკედელშუა დგომის ყავლი რომ გაუვიდათ — მომსვლელთა ხმაურს ფრუტუნი და ჭიხვინიააყოლეს.

ბატონი ბონდოც გამოჩნდა. პატარა მაგიდას მიუჯდა და იქვე საკმაოდ გრძელი რიგიც დადგა — ცხენი არც ისე ბევრია, მსურველი კი...

— ნუკრი, „ფალავანს" გამოიყვან! თემურ, „ფშაველი" შეკაზმე! ქეთინო, „განძი"! ია... — ბატონი ბონდო სათვალეებს ზემოდან გაჰყურებს გამხდარ გოგონას, — „ფირუზს" შეკაზმავ! — იას, ეტყობა, მაინცდამაინც არ ეჭაშნიკა ასეთი არჩევანი, მაგრამ რას იზამ — ბონდო დადიანი სიტყვას აღარ გადათქვამს.

ცხენები განაწილდა. ახლა დროს უქმად კარგვა, აბა, რაღას არგებთ, და ცალ ხელში უნაგირით, მეორეში — აღვირით სადგომებისკენ გარბიან.

უკმაყოფილონიც არიან — რა თქმა უნდა, ისინი, ვინც დროზე ვერ მოვიდნენ.

— დაგაგვიანდათ. — ქაღალდსა და ფანქარს ჯიბეში იდებს მწვრთნელი, — არა უშავს, მეორე წრეზე დაგსვამთ.

„მეორე წრე" დიდი ვერაფერი ნუგეშია და ნირწამხდარი ბიჭები გაბუტული დასცქერიან საკუთარ ფეხსაცმელებს...

ყველაფერი ძველებურადაა. ეს ხუთი წელიწადი თითქოს არც დასტყობია ძია სამსონს. სამოცდათვრამეტი და კიდევ ხუთი... ბიჭებს კი ისევ ეშინიათ მისი. სცადე და უზანგზე ფეხისმოუკიდებლად შეახტი ცხენს, ანდა ისეთი შეგხვდა, ლაგამი ვერ ამოსდე. შემოგიტევს, დაგცინებს, ამოდენა კაცი ხარ, ცხენი ვერ შეგიკაზმავსო! ეს კიდევ არაფერი, მტერს, თუ შეგამჩნია, რომ არ უფრთხილდები!

წლებს მაინცდამაინც არც ბონდო დადიანისთვის დაურევია ხელი. ისევ ძველებურად იღიმება, დასჭირდება და წყვილი ხუმრობაც იქვე, იღლიაში აქვს ამოდებული.

ბევრი არაფერი შეცვლილა, ეს არის, ახალი სახელები გაჩენილა დაფებზე, რამდენიმე ძველსაც ვერსად მოვკარი თვალი. პირველი რატომღაც „სნეგირი", ბებერი, ბუზღუნა ცხენი გამახსენდა. განიერი ზურგი გაქვს, სისწრაფეც დაკარგეო — ბოლო ხანებში მხოლოდ ახალბედებსღა სვამდნენ. მობეზრდა ამდენი სხვადასხვა, გამოუცდელი ხელი. ცხენი მაინც ცხენია და, ითაკილა „სნეგირმაც", აღარავის იკარებდა... ოჩამჩირის ერთ-ერთ კოლმეურნეობაში გაუმწესებიათ...

მანეჟამდე ორასიოდე მეტრია. ნაბიჯით მიჰყვებიან ერთმანეთს. გამჭვირვალე, ცივმა ჰაერმა და სივრცის შეგრძნებამ თანდათან გაახალისა ცხენები. ჯერ აფრუტუნდნენ, მერე ლაგამსაც დაუწყეს წვალება. ფრთხილობენ მხედრები — ნელ-ნელა იმოკლებენ სადავეს...

— ჩორთით!

დახურულ მანეჟზე კოხტად გამწკრივებულნი მისდევენ ერთმანეთს მხედრები. ყრუ ბაგაბუგი გაუდით ფლოქვებს. ბონდო დადიანი იქვე დგას და ბრძანებებს იძლევა. თავში „ფალავანზე" ამხედრებული ნუკრი ფაცულიაა — თეატრალური ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი, მერე თემურ ვაშაყმაძე — „ფშაველით". თემური მომავალი არქიტექტორია. ბიჭებს ქეთინო კიკალეიშვილი და ია ელუაშვილი მიჰყვებიან. ერთი არქიტექტორია, მეორე ალბათ, ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდება.

— ვოლტი მარჯვნივ! ია, ნუ ჩამორჩები!

გოგონამ სულ ახლახან ისწავლა ცხენზე ჯდომა, ამიტომ თუ ვერ იმორჩილებს გაურჩებულ „ფირუზს".

ვიღაც ჯგუფს გამოეყო და ნავარდით წამოვიდა.

— გრიგოლაშვილო, ნაბიჯით! — ბატონ ბონდოს მაინცდამაინც არ უყვარს ინდივიდუალისტები.

დავითი ცხენს თავს უჭერს და ეღიმება — ვერ დამიმორჩილებია, რა ვქნაო.

— რა გაცინებს! კაცმა რომ მიგიშვას, ცხენს წააქცევ, არ გაგივა ეგ ოინი! — მწვრთნელს ასე იოლად მართლაც ვერ აუხვევ თვალს, მაგრამ ნაბიჯითა და ჩორთით სიარულიც ყელში ამოუვიდათ. არადა, არც ასე შეიძლება, ჯგუფში საკმაოდ ბევრი ახალბედაა, გოგონები, ბიჭუნებიც. გახელდებიან ცხენები და მერე ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

ისე კი ვერც ბიჭებსა და ვერც მწვრთნელს ვერ გაამტყუნებ. „ძველებისა" და „ახლების" ერთად ვარჯიში მართლაც ძნელია.

— ორი მწვრთნელი რომ მყავდეს... — მეუბნება ბატონი ბონდო, — ალბათ ყველაფერი კარგად იქნებოდა.

ყველაფერი იქნებ არა, მაგრამ... — ბონდო დადიანს სათქმელი სხვაც ბევრი აქვს...

აღარ დაადგა საშველი მანეჟთან თავლის აშენებას. ვერა და ვერ მოგვარდა ვათბობის საქმეც. არც საშხაპე მუშაობს რიგიანად. თავლაში წყალი ჩამოდის, წყალი ჩამოდის მანეჟშიც. შარშან მოტანილი გადასახურავი მასალა ისევ ისე, უპატრონოდ ყრია ცის ქვეშ. აკლიათ უნაგირები, საოფლეები. არა ჰყავთ შტატიანი ექთანი, არადა, ცხენოსნობა ხომ არც ისე უხიფათო სპორტია. ყველა ამ საკითხის მოგვარება, ვფიქრობთ, ძნელი არ უნდა იყოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის. საქმე ხომ ცხენოსნობის პოპულარიზაციასა და მშრომელთა ჯანმრთელობას ეხება. აღარაფერს ვამბობთ იმ ესთეტიკურ სიამოვნებასა და ემოციების მრავალფეროვნებაზე, ამ სახეობას რომ თან სდევს.

* * *

ცხენი მაინც ცხენია! იტყვიან და ყოველგვარი საბუთების გარეშე გჯერა, რომ ასეა.

არ ვიცი, იქნებ ვცდებოდე კიდეც, მაგრამ საკმარისია კაცმა ერთხელ მაინც იყნოსოს თავლის სუნი, ერთხელ მაინც იგრძნოს გაჭენებული ცხენის დაძაგრული სხეული, ნავარდის ის მართლაც საკვირველი სიყვარული, რომლის მსხვერპლიც ძალზე ხშირად თვითონვე ხდება ხოლმე, და...

არა, ცხენი მაინც ცხენია!

ალბათ ამიტომაც უცდიან მოთმინებით თავიანთ რიგს მერვეკლასელი კახა და მამუკა ბილანიშვილები, ამან თუ მოიყვანა მანეჟზე რუსთავის თეატრის ახალგაზრდა მსახიობები გია ტყეშელაშვილი და ამირან შარმანაშვილი, ამიტომ თუ ივსებენ ჯიბეს შაქრის ნატეხებით აქ მომსვლელნი.

ისევ მოაქვთ-მეთქი? მაინც ვკითხე ბატონ ბონდოს. მარტო გოგონებსო.

— ბიჭებს?

— ჩაის ნივრით სვამენ და ცხენებს მოუტანენ? — ენამწარობს მწვრთნელი. უფრო კი იმიტომ, რომ გაბრაზებულია დღეს ბიჭებზე.

სევიკო ლორთქიფანიძე — მშენებელი ინჟინერი, გიორგი ინაური — მოსწავლე, ალექსი პაჭკორია — ალგებრა-გეომეტრიის კათედრის ასპირანტი, ნოდარ ებრალიძე — მხატვრული თარგმნის სარედაქციო კოლეგიის უფროსი რედაქტორი. რომელი ერთი ჩამოვთვალო...

— ნელი ნავარდით!

როგორც იქნა, „ამოისუნთქეს" მხედრებმა.

ძია სამსონი ახლა თავლაში ტრიალებს, რიგრიგობით ჩამოივლის „ზნაურის", „კოსმოსის", „ბეთლემის", „განძისა" და სხვების სადგომებს, თივას დაუყრის, შვრიით გაავსებს გობებს. ვაი იმას, ვისი ცხენიც გაოფლილი შემოვა თავლაში, ხმამაღალ სიტყვას არ დასჯერდება, კარგა მოზრდილ ლექციასაც ზედ მიაყოლებს. სხვანაირად არც შეუძლია სამსონ ფოფხაძეს, კაცს, მთელი ცხოვრება ცხენებს რომ შეალია. არც გაემტყუნება...

მანეჟის სარბიელზე კი ნავარდით მიჰქრიან ცხენები, კისერწაგრძელებული და ნესტოებდაბერილნი.

ი. ბერიაშვილი.

* * *

სურათზე: ქეთინო კიკალეიშვილი თავის „განძთან".

თ. ქიქავას ფოტო.

არაფერი შეცვლილა

სსრ კავშირის ვაჟთა 44-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირში (მოსკოვი, რკინიგზელთა კულტურის ცენტრალური სახლი) 12 ტურის შემდეგ ლიდერთა განლაგებაში არსებითად არაფერი შეცვლილა, რადგან მათი პარტიები გადაიდო. ტ. პეტროსიანს 7 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ი. ბალაშოვს — 6,5 (2), ლ. პოლუგაევსკის, ი. დორფმანს — 6,5-6,5 (1-1), ა. კარპოვს — 6 (2), ო. რომანიშინს, ბ. გულკოს — 6-6 (1-1).

XII ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები პეტროსიანი და ბალაშოვი. მწვავე თამაშის შემდეგ პარტია გადაიდო ბალაშოვისთვის ოდნავ უკეთეს პოზიციაში. გადაიდო კარპოვ — ე. სვეშნიკოვის შეხვედრაც. მსოფლიო ჩემპიონს მოგების იმედი აქვს. ლიდერთა ჯგუფის წევრებიდან პარტიები დაუმთავრებელი დარჩათ გულკოს და რომანიშინს. პირველი რ. ვაგანიანს ხვდებოდა. სპეციალისტების აზრით, ამ შეხვედრაში მთავარი ბრძოლა წინაა. რომანიშინს მ. ტაიმანოვთან უარესი პოზიცია აქვს.

ე. გელერმა ვ. კუპრეიჩიკთან საუცხოოდ გაითამაშა ძველინდური დაცვა და მეტოქის მეფეზე იერიშისთვის განეწყო, მაგრამ ცაიტნოტში უხეიროდ თამაშობდა. ბოლოს, 33-ე სვლაზე მან დროს გადააცილა და პარტია წაგებულად ჩაეთვალა.

პოლუგაევსკიმ აჯობა ა. ზახაროვს და მნიშვნელოვანი ქულა შეიძინა. გაიმარჯვა ვ. სმისლოვმაც, რომელმაც ვ. ცეშკოვსკის მოუგო.

დორფმანი ქულით დაწინაურდა. ცაიტნოტში ნ. რაშკოვსკი ვერ აგნებდა მასთან პარტიაში სწორ სვლებს და მატერიალურად დიდად დაზარალდა.

კ. გრიგორიანი ავად შეიქნა და მისი შეხვედრა მ. ტალთან არ შედგა.

* * *

სურათზე: რკინიგზელთა კულტურის ცენტრალური სახლის სცენაზე მიმდინარეობს მორიგი ტური.

სვერდლოვსკელი—მოლდავეთის ჩემპიონი

კიშინიოვში დამთავრდა მოლდავეთის მოჭადრაკე ქალთა პირველობა. რუსეთის ფედერაციის ჩემპიონს, სვერდლოვსკელ საერთაშორისო ოსტატ ლ. საუნინას 9 ქულის მოგროვება დასჭირდა 14 მასპინძლისთვის რომ გაესწრო. ამ ქულებით იგი მოლდავეთის ჩემპიონიც გახდა.

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი.

სვერდლოვსკში ადგილობრივი „ურალმაში" მოსკოვის „დინამოს" შეხვდა. მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 135:94 (80:39), რაც სარეკორდო შედეგია მიმდინარე ჩემპიონატში. მოსკოველთაგან თავის გუნდს ყველაზე მეტი ქულა (36) შესძინა ვ. ჟიგილიიმ.

მინსკში უაღრესად დაძაბული გამოდგა ადგილობრივი რადიოტექნიკური ინსტიტუტისა და კაუნასის „ჟალგირისის" დუელი. ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 89:89 (48:41). დამატებითმა ხუთწუთიანმა ტაიმმა გამარჯვება რტი-ს მოუტანა — 101:98.



ჭადრაკის კომპოზიტორების კონგრესი

შარშან თბილისში მოეწყო ჭადრაკის კომპოზიტორთა XVIII საერთაშორისო კონგრესი, რომელშიც 16 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ჭადრაკის სასახლეში გამართულ კონგრესს ესწრებოდნენ უცხოელი დელეგატები და სტუმრები, მოწინავე საბჭოთა პრობლემისტები და ეტიუდისტები. თვით ის ფაქტი, რომ კონგრესი ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდა, მოწმობს საბჭოთა კომპოზიტორთა მნიშვნელოვან წვლილს მსოფლიო საჭადრაკო კომპოზიციის განვითარებაში.

კონგრესმა განიხილა მსოფლიო საჭადრაკო კომპოზიციის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები, მთელ რიგ არბიტრებსა და კომპოზიტორებს მიანიჭა საერთაშორისო წოდებები და ა. შ. ამავე დროს მოეწყო საერთაშორისო ბლიც კონკურსი, რომელიც მიეძღვნა კოსმოსური ხომალდების „სოიუზისა" და „აპოლონის" ერთობლივ ფრენას. კონგრესის პრეზიდიუმის წარმომადგენლები შეხვდნენ ამერიკელ და საბჭოთა კოსმონავტებს ტომას სტაფორდს, დონალდ სლეიტონს, ვენს ბრანდს, ალექსეი ლეონოვს, ვალერი კუბასოვს და სუვენირები გადასცეს მათ.

სულ ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისში კონგრესი ჩატარდა. ამ თავყრილობის შემოქმედებითი დაძაბულობით აღსავსე დღეებს აცოცხლებს „საბჭოთა საქართველოს" მიერ საუცხოოდ გამოცემული წიგნი „ჭადრაკის კომპოზიტორთა საერთაშორისო კონგრესი, თბილისი, 1975". წიგნი შეადგინეს გ. ნადარეიშვილმა, ი. ლიაპუნოვმა და ვ. ნეიძემ. აქ მოყვანილია მონაცემები ჭადრაკის კომპოზიტორთა ყველა წინა კონგრესის შესახებ, გამოქვეყნებულია სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის დირექტორის ვ. ბატურინსკის მისასალმებელი სიტყვა, წარმოთქმული კონგრესის საზეიმო გახსნაზე, სხდომის ოქმი, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კონგრესის მონაწილეთა რჩეული ნაწარმოებები. წიგნში გამოქვეყნებული 56 ნაწარმოებიდან ათი ჭადრაკის ქართველ კომპოზიტორებს ეკუთვნის.

აქვე გამოქვეყნებულია ამოცანებისა და ეტიუდების შედგენაში ელვისებური საერთაშორისო კონკურსის მასალები.

კონგრესის შესახებ წიგნში შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ მ. ბოტვინიკი, ლ. ლოშინსკი, ი. ჰანემუსი, ბ. ფორმანეკი, ა. დომბროვსკისი, ვ. როსოლაკი, ფ. ფარგეტი, ტ. გორგიევი და ი. ვლადიმიროვი.

წიგნი უხვადაა ილუსტრირებული ფოტოებით.

დიდი სპორტის სათავეები

ბერლინი. 1977 წლის 25-31 ივლისს ლაიფციგში ჩატარდება გდრ-ის ბავშვთა და მოზარდთა მეექვსე სპარტაკიადა სპორტის საზაფხულო სახეობებში. როგორც გერმანიის სპორტულტანვარჯიშული კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ზ. ჰაილსდორფი ამბობს, ეს შეჯიბრება მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენა იქნება რესპუბლიკის ცხოვრებაში. ასეთი სპარტაკიადა და ეროვნული ტანვარჯიშულ-სპორტული დღესასწაული პირველად ტარდება ერთდროულად ერთ ქალაქში. „სახალხო სპორტი და დიდი სპორტი ერთიანდებიან, რაც დამახასიათებელია სოციალისტური ქვეყნის ფიზიკური კულტურისათვის" — ხაზგასმით არის აღნიშნული ადნ-ის სააგენტოს კომენტარებში.

ლაიფციგი მარტო ბაზრობათა ქალაქი კი არა, სპორტული ცენტრიცაა, სადაც მთელ მსოფლიოში განთქმული ფიზკულტურის უმაღლესი სკოლა მუშაობს. იგი სპარტაკიადას პირველად ატარებს. ახალგაზრდა სპორტსმენთა წინა ხუთი შეხვედრა 1966 წლიდან ბერლინში ეწყობოდა.

ასპარეზობა სპორტის 20 სახეობაში შვიდ დღეს გაგრძელდება. აფროსნობაში, აკადემიურ, ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობაში შეჯიბრებები ბერლინში ჩატარდება, წყალზე სლალომში — ცვიკაუში (კარლ-მარქსშტადტის ოლქი).

როგორც ჰაილსდორფი ამბობს, მეგობრებისა და სიგელებისთვის საერთო ჯამში 10000 ახალგაზრდა სპორტსმენი იბრძოლებს. მისი სიტყვებით, ლაიფციგში შესრულდება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობის მიერ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში დასახული ახალი ამოცანები. ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სპორტი სულ უფრო დიდ ადგილს დაიკავებს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ცხოვრებაში.

სასპარტაკიადო მოძრაობა, რასაც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ათი წლის ისტორია აქვს, სულ უფრო პოპულარული ხდება. თუ 1971 წელს ბავშვთა სპარტაკიადების სტარტებზე 3,3 მილიონი სპორტსმენი გამოვიდა, 1975 წელს ამ ციფრმა 4 მილიონს გადააჭარბა.

მონრეალში მოასპარეზე გდრ-ის ოლიმპიური გუნდის წევრთა უმეტესობა ამ სპარტაკიადების მონაწილეა. ჰაილსდორფმა აღნიშნა, რომ ამჟამად რესპუბლიკის ქალიშვილებისა და ჭაბუკების 62 პროცენტი, გარდა სასკოლო პროგრამისა, რეგულარულად მეცადინეობს სხვადასხვა სექციაში ან სპორტულ საზოგადოებაში. ჩვენი მიზანია ყველა ბავშვი, მოზარდი თუ უფროსი ადამიანი ჩავაბათ სპორტში. ლაიფციგის სპორტული დღესასწაული ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ჰაილსდორფი და სპარტაკიადის ბიუროს წარმომადგენლები იუწყებიან იმ ინიციატივის შესახებ, რასაც ლაიფციგის მოსახლეობა, სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრიობა იჩენენ სპორტული დღესასწაულისთვის მზადებაში. ქალაქის სხვადასხვა რაიონში შენდება ბევრი მცირე სპორტული ნაგებობა, მიმდინარეობს უკვე არსებული ბაზების რეკონსტრუქცია-მოდერნიზება. ქალაქის მოსახლეობა ახალ სპორტულ ბაზებს დღესასწაულის შემდეგაც გამოიყენებს. ასი ათასი მაყურებლისთვის გათვალისწინებული ცენტრალური სტადიონის გარდა, გამოყენებული იქნება შვიდი დიდი საგამოფენო პავილიონიც.

(საგდესი).

ლიუბანსკი პირველი სნაიპერია

განთქმული თავდამსხმელი ლიუბანსკი, რომელიც ამას წინათ დაბრუნდა პოლონეთის ნაკრებში, გუნდის ერთ-ერთი ვეტერანია. მას აქ 68 მატჩი აქვს ჩატარებული, რაც პოლონეთის ნაკრების ისტორიაში მეორეა. ყველაზე მეტი (80) ითამაშა დეინამ. მესამე ადგილზეა გადოხა — 65.

სამაგიეროდ, ლიუბანსკი ნაკრების ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელია. მან გაიტანა 46 ბურთი, პოლმა — 40, დეინამ — 37.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

უილგლო პივარნიკი

ჩეხოსლოვაკიის ნაკრების კაპიტანს, ცნობილ მცველს პივარნიკს ბედი აშკარად არ სწყალობს. იგი ბევრ თამაშს აცდენს ტრავმების გამო. უკანასკნელი მატჩებიც შოტლანდიელებთან და გფრ-ის ნაკრებთან ევროპის ჩემპიონებმა უიმისოდ ჩაატარეს. პივარნიკი კვლავ მძიმედ დაშავდა და მუხლისთვის მეორე ოპერაცია გაუკეთეს.

„შაბათის სპორტლოტოს" შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს" მორიგი ტირაჟებისა, რომლებიც 11 დეკემბერს მოსკოვში მოეწყო.

პირველი ტირაჟი: ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია (7 ბარათი), ოთხისთვის — 217 (1338), სამისთვის — 6 (43906).

მეორე ტირაჟი: ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია (2 ბარათი), ოთხისთვის — 214 (1424), სამისთვის — 5 (54715).

მოგებული თანხა გაიცემა 1976 წლის 21 დეკემბრიდან 1977 წლის 21 იანვრის ჩათვლით.

50-ე ტირაჟი

მოსკოვი. 15 დეკემბერი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი, 50-ე ტირაჟი:

აი, იღბლიანი ციფრები:

„სპორტლოტო": 4, 6, 17, 18, 21, 49.

„სპორტლოტო-2": 3, 24, 26, 29, 37, 40.

ილიასეული „ივერია" ოლიმპიადაზე

როგორც ცნობილია, მონრეალის ოლიმპიადა სათვალავით ოცდამეერთე იყო. თანამედროვეობის პირველმა ოლიმპიურმა შეჯიბრებამ სტარტი აიღო 1896 წლის 5 აპრილს. ენთუზიასტთა ჯგუფისა და მათი ხელმძღვანელის პიერ დე კუბერტენის თაოსნობით აღორძინებული ასპარეზობა ათენში გაიხსნა. სარბიელზე 13 ქვეყნის 285 სპორტსმენი გამოვიდა.

და აი, დღეს, როცა ათენში მოწყობილი პირველი ოლიმპიადიდან 80 წელი გავიდა, ინტერესს არ არის მოკლებული, თუ რას წერდა ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამომავალი გაზეთი „ივერია" 1895 წელს — ოლიმპიური თამაშების წინა წელს.

წარსულის შტრიხი

„უწინ საბერძნეთში ჩვეულებადა ჰქონიათ ხოლმე საზოგადოდ დღესასწაულებზედ და მომეტებულ ნაწილად ოლიმპის დღესასწაულზედ ჭიდაობის გამართვა. ერთმა მოჭიდავემ, რომელსაც დიაგორს ეძახდნენ, დიდი სახელი მოიპოვა მთელ საბერძნეთში. იგი ყოველთვის დაუმარცხებელი ბრუნდებოდა დღესასწაულიდგან. როცა თითონ დაბერდა, ახლა თავისი შვილები გაჰყავდა საჭიდაოდ. ერთს ამისთანა დღესასწაულზედ მისმა შვილებმა დაამარცხეს ყველა მოჭიდავენი. დიდად გახარებულმა შვილებმა თავისი მამა, მცხოვანი მოჭიდავე ხელში აიყვანეს და ისე დაჰყავდათ. ხალხი მათ უკან დასდევდა ტაშისცემით, „ვაშას" ძახილით და ყვირილით: „მოკვდი, დიაგორ, შენ მაგის მეტი აღარა გინდარაო!". მართლაც, მოხუცებულმა დიაგორმა ვეღარ აიტანა ამისთანა ბედნიერება და შვილების ხელებზე განუტევა სული.

შარშან სორბონში მომხდარ საერთაშორისო კონგრესზედ აღძრეს კითხვა და მოისურვეს, რომ საბერძნეთში კვლავ იმართებოდეს ხოლმე ამისთანა თამაშობაო. საფრანგეთის ბუმბერაზთა შეერთებულ საზოგადოების მდივანმა პიერ დე კუბერტენმა გამოაცხადა, რომ სათამაშოს გასამართავად თავი და თავი წესები უკვე გამორკვეულიაო. თამაშობა მომავალ წელს პირველად ათინაში გაიმართება" — წერდა გაზეთი.

როგორც „ივერია" აღნიშნავდა, ამ „საქმის აღორძინებას" მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოჩენილმა პიროვნებებმა დაუჭირეს მხარი.

„მხოლოდ გერმანელები არ მიემხრნენ მათ და მგონი კილის არხის გახსნის შემდეგ ისინიც ამ საქმისადმი თანაგრძობას გამოაცხადებენ.

ალექსანდრიიდამ ერთმა ბერძენმა ათასი ფრანკი შესწირა თამაშობის გასამართავად. თუ პირველმა ცდამ კარგად ჩაიარა, მაშინ თამაშობის გამართვა პარიზში დაიწყება 1900 წელს ერთად მსოფლიო გამოფენასთან" — იტყობინება გაზეთი.

არ შემცდარა ილიასეული „ივერია", ყურადღება რომ დაუთმო საბერძნეთში პირველი ოლიმპიადის ამბავს. „ცდამ კარგად ჩაიარა" და დღეს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სპორტსმენებთან ერთად ქართველი ათლეტებიც გულმოდგინედ ემზადებიან „ოლიმპიადა-80"-ში მონაწილეობისთვის, რომელიც მოსკოვში გაიმართება.

ა. ანდრიაძე.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონი ცნობებისთვის 93-97-57.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 14092